ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის სხდომის

№ 8 ოქმიდან

LXV. ინფორმაცია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექ-ტრონული ტენდერის საშუალებით ცალკეულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებე-ბის მიერ ზოგიერთი შესყიდვის ობიექტის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (მომხსენებელი სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ტ.ურჯუმელაშვილი)

---

1. ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. ეთხოვოთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-ვალისწინებულ შემსყიდველ ორგანიზაციებს:

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, პრეტენ-დენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნა იყოს დასაბუთებული, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით;

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით „შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნობის დადგენის წესის დამტკიცე-ბის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის № 7 ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკატორის იმ კოდით გათვა-ლისწინებული შესყიდვის ობიექტთა შესყიდვისას, რომელთა პირველი ორი ციფრი არის 09 (ნავთობპროდუქტები, საწვავი, ელექტროობა და ენერგიის სხვა წყაროები), საქონლის გატანა მოახდინონ სატენდერო დოკუმენტაციით წინასწარ დადგენილი თანაბარ პროპორციული ეტაპების მიხედვით. ამასთან, თითოეულ ეტაპზე გასატანი საწვავის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ერთ მეოთხედს;

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით „შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის № 7 ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკატორის იმ კოდით გათვა-

ლისწინებული შესყიდვის ობიექტთა შესყიდვისას, რომელთა პირველი ორი ციფრი არის 09 (ნავთობპროდუქტები, საწვავი, ელექტროობა და ენერგიის სხვა წყაროები), სხვადასხვა ტიპის საწვავის შესყიდვა განახორციელონ განცალკევებულად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტითა და 10^1 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ დებულებათა გათვალისწინებით.

3. გადაიდოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის განხილვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბილაური

საქართველოს მთავრობის
კანცელარიის უფროსი